

Aleko MeladzeE-mail: aleko.meladze@bsu.edu.geDoctor of business administration,
Batumi Shota Rustaveli state University,
Batumi, Georgia
orcid.org/0000-0002-5781-2371

CURRENT ISSUES OF CUSTOMS AND TARIFF REGULATION

Abstract: The article presents a discussion of several important and relevant issues of customs and tariff regulation of Georgia, which is based on the study of the modern situation and its analysis. The paper aims to study such important aspects of the tariff method of customs policy implementation in Georgia, which serve to deal with the modern challenges of protecting the domestic market from foreign goods competition. Due to the low customs tariffs and the small number of customs taxes in Georgia, imported products are often sold at a lower price compared to local products, therefore the society also consumes goods imported from other countries, which causes significant damage to local production and the business sector in general. The study of the current situation and the analysis of statistical data reveal that the current directions of customs-tariff regulation only have a fiscal effect for the country and do not (cannot) bring significant results in terms of export stimulation and protectionism of domestic producers. The paper proposes legally recognized and scientifically substantiated methods of customs-tariff regulation, which in the long term ensure the improvement of the export-import balance, the increase of the specific share of local taxes in the revenue part of the state budget in relation to import-related taxes, the stimulation of local producers, the development of the business sector and the encouragement of exports.

Keywords: foreign trade; customs regulation; customs policy; customs and tariff regulation; import duties; Budget revenues.

JEL classification: M48; M19

ალეკო მელაძეელ. ფოსტა: aleko.meladze@bsu.edu.ge

ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი,

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი,

ბათუმი, საქართველო

Orcid.org/0000-0002-5781-2371

საბაჟო-სატარიფო რეგულირების აქტუალური საკითხები

აბსტრაქტი: სტატიაში წარმოდგენილია საქართველოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების რამდენიმე მნიშვნელოვანი და აქტუალური საკითხის შესახებ მსჯელობა, რომელიც ეფუძნება თანამედროვე მდგომარეობის შესწავლასა და მის ანალიზს. ნაშრომი მიზნად ისახავს საქართველოში საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის სატარიფო მეთოდის ისეთი მნიშვნელოვანი ასპექტების შესწავლას, რომლებიც შიდა ბაზრის უცხოური საქონლის კონკურენციისაგან დაცვის თანამედროვე გამოწვევებთან გამკლავებას ემსახურება. საქართველოში დაბალი საბაჟო ტარიფებისა და საბაჟო გადასახადების რაოდენობის სიმცირის გამო იმპორტირებული პროდუქცია, ხშირ შემთხვევაში, ადგილობრივ ნაწარმთან შედარებით დაბალ ფასად რეალიზდება, შესაბამისად საზოგადოებაც სხვა ქვეყნიდან იმპორტირებულ საქონელს მოიხმარს, რაც მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ადგილობრივ წარმოებასა და ზოგადად ბიზნეს სექტორს. თანამედროვე მდგომარეობის შესწავლა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ საბაჟო-სატარიფო რეგულირების დღეს არსებული მიმართულებები მხოლოდ ფისკალურ ეფექტს იძლევა ქვეყნისათვის და ექსპორტის სტიმულირებისა და შიდა მწარმოებლების პროტექციონიზმის თვალსაზრისით მნიშვნელოვანი შედეგები არ (ვერ) მოაქვს. ნაშრომში შემოთავაზებულია საბაჟო-სატარიფო რეგულირების სამართლებრივად აღიარებული და მეცნიერულად დასაბუთებული მეთოდები, რომლებიც გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს ექსპორტ-იმპორტის ბალანსის გაუმჯობესებას, სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ადგილობრივი გადასახადების ხვედრითი წილის ზრდას იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებთან მიმართებაში, ადგილობრივი მწარმოებლების სტიმულირებას, ბიზნეს სექტორის განვითარებასა და ექსპორტის წახალისებას.

საკვანძო სიტყვები: საგარეო ვაჭრობა; საბაჟო რეგულირება; საბაჟო პოლიტიკა; საბაჟო-სატარიფო რეგულირება; იმპორტის გადასახადელები; ბიუჯეტის შემოსავლები.

JEL კლასიფიკაცია: M48; M19

შესავალი

საქართველოს საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში სრულყოფილი ინტეგრაციისათვის საერთაშორისო ვაჭრობის გაღრმავება-განვითარებას უმნიშვნელოვანესი როლი აკისრია. საგარეო-საბაჟო ურთიერთობების რეგულირებისა და სტიმულირების საკითხებს კი საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებები ემსახურება. საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებების პრაქტიკული რეალიზაციისათვის თანამედროვე პირობებში აქტიურად გამოიყენება სატარიფო და არასატარიფო რეგულირების ინსტრუმენტები, რომელთა გამოყენების მიზანშეწონილობას მოცემული პერიოდისათვის კონკრეტული ქვეყნის საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და დინამიკა განსაზღვრავს.

საბაჟო-სატარიფო რეგულირების მიმართულებით თანამედროვე პრობლემების გადასაჭრელად აუცილებელია საერთაშორისო ნორმების შესაბამისი მკაფიო მიმართულებების ჩამოყალიბება, რომლებიც უზრუნველყოფს საბაჟო პროცედურების ჰარმონიზაციას, ვაჭრობის ხელშეწყობასა და ეროვნული ინტერესების დაცვას (Fedotova, 2018). საბაჟო-სატარიფო რეგულირების საკითხებს განსაკუთრებული მნიშვნელობა შესძინა მკაცრმა კონკურენტულმა გარემომ და მასში განვითარებადი ქვეყნების ინტეგრაციის სირთულემ, შესაბამისად, საბაჟო-სატარიფო რეგულირების ეფექტიანობა ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად იქცა საქართველოსთვის.

საქართველოს საგარეო საბაჟო ბალანსის გაუმჯობესების, ექსპორტის ხელშეწყობისა და ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის აუცილებლობა მეტად **აქტუალურს** ხდის საბაჟო რეგულირების სატარიფო მეთოდების ეფექტიანობის საკითხებზე მსჯელობასა და მიზანშეწონილობის შეფასებას. მით უფრო იმის ფონზე, როცა საერთაშორისო სამართლებრივი ნორმები მსგავსი მეთოდების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა.

კვლევის **მიზანია** საქართველოში საბაჟო რეგულირების სატარიფო მეთოდების გამოყენების აქტუალური საკითხების განხილვა, ძირითადი გამოწვევების შეფასება, არსებული პრობლემების გამოვლენა და მათი დაძლევის გზების ძიება. მიზნიდან გამომდინარე დასახული იქნა შემდეგი სახის **ამოცანები**: სახელმწიფოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების ზოგადი თეორიული ასპექტების შესწავლა; საქართველოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების თანამედროვე მდგომარეობის შეფასება; საბაჟო-სატარიფო რეგულირების ექსპორტ-იმპორტის ბალანსზე გავლენის ხარისხის დადგენა; საბაჟო ტარიფის (საბაჟო გადასახდელების) ფისკალური ეფექტის განსაზღვრა; საბაჟო-სატარიფო რეგულირების თანამედროვე მექანიზმის შემუშავება.

კვლევის **თეორიული მნიშვნელობა** გამოიხატება საბაჟო პოლიტიკისა და საბაჟო-სატარიფო რეგულირების თეორიულ-მეთოდოლოგიური ბაზის გამდიდრებაში, კვლევის **პრაქტიკული ღირებულება** კი კვლევის შედეგად შემუშავებული წინადადებებისა და რეკომენდაციების პრაქტიკაში რეალიზაციით ვლინდება, რომლებიც შეიძლება გამოყენებულ იქნეს სახელმწიფოს მხრიდან საბაჟო რეგულირების მიმართულებით ღონისძიებების შემუშავებისა და რეალიზაციისას. კვლევის **ორიგინალურობად** მივიჩნევთ შემუშავებული

ღონისძიებების პრაქტიკული განხორციელების მაღალ ეფექტიანობას სახელმწიფოსთვის (საბაჟო გადასახადების ფისკალური ეფექტის ზრდით) და ადგილობრივი მწარმოებლები-სათვის (იმპორტირებული საქონლის კონკურენციისაგან დაცვით).

კვლევის მეთოდოლოგია

კვლევა ეფუძნება თეორიული მასალების შესწავლასა და სტატისტიკური მონაცემების ანალიზს. თეორიული მასალების შესწავლისას გამოყენებულია ლოგიკური მიდგომების, სინთეზისა და ანალიზის მეთოდები. ლოგიკური მიდგომის მეთოდის გამოყენება გამოხატულია კონკრეტულ მოვლენაზე მოქმედ სხვადასხვა ფაქტორს შორის გამოვლენილ ურთიერთკავშირებში და მათ შესაბამისად ჩამოყალიბებულ კანონზომიერებებში. სინთეზისა და ანალიზის მეთოდების საშუალებით განსაზღვრულია თითოეული მოქმედი ფაქტორის მოცემულ საკითხზე და კვლევის შედეგებზე შესაძლო ზეგავლენის ხარისხი. სტატისტიკური მონაცემების ანალიზისას გამოყენებულია რაოდენობრივი მონაცემების თავმოყრის, დაჯგუფებისა და შედარების მეთოდები, რის საფუძველზეც სტატისტიკური მონაცემები დამუშავებულია კვლევის მიზნისა და ამოცანების შესაბამისად, რომლის შედეგებიც გათვალისწინებულია საკითხთან დაკავშირებულ თეორიულ მიმართულებებსა და კონცეპტუალურ პრინციპებთან. სტატისტიკური მონაცემები აღებულია საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო ხაზინისა და შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ელექტრონული ბაზებიდან. თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შესწავლისა და დამუშავების საფუძველზე დასაბუთებულია კვლევისას წარმოდგენილი კონკრეტული მოსაზრებები, შეთავაზებული წინადადებები და ჩამოყალიბებული დასკვნები.

საკითხის შესწავლის მდგომარეობა/ლიტერატურის მიმოხილვა

ნაშრომის თეორიული ნაწილის ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საბაჟო პოლიტიკის შესახებ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებმა. საბაჟო პოლიტიკის საკითხებს ეხება აბელაშვილი, რომელიც ნაშრომში „პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში“ (აბელაშვილი, 2011) სხვა საკითხებთან ერთად აქტიურად განიხილავს ქვეყნის საგარეო ეკონომიკურ ურთიერთობებსა და საბაჟო პოლიტიკის საკითხებს. ტერაშვილი საგადასახადო და საბაჟო პოლიტიკაზე აკეთებს აქცენტს და იგი მას ქვეყნის ეკონომიკის რეგულირების უმნიშვნელოვანეს მიმართულებად მიაჩნია. ნაშრომში „საქართველოს საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა“ (ტერაშვილი, 2007) ავტორი ყურადღებას ამახვილებს საბაჟო მიმართულებით განსახორციელებელი ღონისძიებების პრიორიტეტულობის საკითხებზე.

მელაძე სტატიაში „საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი“ (მელაძე, 2021) გვთავაზობს ექსპორტის სტიმულირებისა და უცხოური საქონლის კონკურენციისაგან ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის ღონისძიებებს. იმავე ავტორის ნაშრომი „საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები“ (მელაძე, 2023) საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის სამართლებრივ ას-

პექტებს ეხება, ევროკავშირთან შესაბამისობის კონტექსტში. აზუსტებდა და მეტადე ნაშრომში „ინოვაციური საბაჟო სისტემა და მისი გავლენა ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალზე“ (Abuselidze and Meladze, 2024) აღნიშნავენ, რომ საქართველოს, თავისი გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე აქვს პოტენციალი გახდეს დასავლეთისა და აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის დამაკავშირებელი სატრანზიტო ჰაბი, რაც უზრუნველყოფს ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებლის ზრდას. აღნიშნული კი დამოკიდებულია ინოვაციური საბაჟო სისტემის ფორმირებასა და საბაჟო პოლიტიკის ღონისძიებებზე. ცინარიძე და სხვები სტატიაში „იმპორტის გადასახადების ფისკალური ეფექტი და იმპორტის რეგულირება“ (ცინარიძე და სხვ., 2022) იმპორტის გადასახადებიდან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლების ანალიზს გვთავაზობენ და იმპორტის რეგულირების აუცილებლობაზე მიუთითებენ.

კვლევის თეორიული ჩარჩოს ფორმირებასა და შესაბამის დასკვნების ფორმულირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა უცხოელ მეცნიერთა შრომებმა. ფედოოვა ნაშრომში „Electronic Commerce: Customs Regulation Problems“ (Fedova, 2018) განიხილავს საბაჟო რეგულირების საკითხებს და განვითარებადი ქვეყნებისათვის სატარიფო მეთოდების გამოყენების მნიშვნელობას ასაბუთებს. კორფის სტატია „Commodity Nomenclature and Classification of Goods for Customs Purpose in Eurasian Economic Union“ (Korf, 2017) ეძღვნება სასაქონლო ნომენკლატურისა და კლასიფიკაციის გავლენის ხარისხს საბაჟო რეგულირების ეფექტიანობის თვალსაზრისით, ევრაზიის ქვეყნების ეკონომიკაში. საბაჟო პოლიტიკის აქტუალურ საკითხებს იხილავს მაზური კვლევაში „The Concept of Customs Affairs: Idea, Content, Legislative Fixing“ (Mazur, 2008), სადაც თეორიული კონცეპტი პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირშია განხილული.

არსებული და მოსალოდნელი კრიზისების დამლევს ეფექტიან საშუალებად საბაჟო-სატარიფო რეგულირებას მიიჩნევენ ნენკო და სხვები თავიანთ ნაშრომში „Economic and Legal Bases of Administration of the Customs-tariff Mechanism“ (Nenko et al, 2022), სადაც საბაჟო-სატარიფო რეგულირების ეკონომიკურ და სამართლებრივ ასპექტებზეა ყურადღება გამახვილებული. გლობალიზაციის პროცესთან ეფექტიანად ადაპტაციისათვის ნოვიკოვი და ზემლიანსკაია საბაჟო ტარიფის მარეგულირებელი და მასტიმულირებელი როლის გაძლიერებას მიიჩნევენ აუცილებლად კვლევაში „The System of Customs and Tariff Regulation of the EAEU in the Context of Globalization: Problems, Trends and Prospects of Development“ (Novikov & Zemlyanskaya, 2021). შრაიბერი სტატიაში „Customs Tariff Regulation as an Instrument of Economic Security of the Russian Federation“ (Shraiber, 2017) საბაჟო-სატარიფო რეგულირებას ქვეყნის ეკონომიკური უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ და ეფექტიან ინსტრუმენტად მიიჩნევს.

ძირითადი ნაწილი

თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკაში საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა განუზომელია. იგი ქვეყნების როგორც ეკონომიკური წინსვლის, ასევე პოლიტიკური სტაბილურობის განმსაზღვრელი, და ამავდროულად ერთ-ერთი მთავარი მაჩვენებელია. საგარეო ვაჭრობის განვითარება-გაფართოება ქვეყნის საბაჟო პოლიტიკასა და საბაჟო სფეროსთან მჭიდროდაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, საბაჟო საქმიანობა სახელმწიფო საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციას ემსახურება, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო ეკონომიკური პოლიტიკის შემადგენელი ნაწილია და საგარეო ვაჭრობის რეგულირებაზე და იმპორტ-ექსპორტის მოცულობებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს.

საგარეო სავაჭრო საქმიანობის ოპტიმალურობის მიღწევისთვის და საზოგადოებრივ ინტერესთა ბალანსისთვის საბაჟო პოლიტიკა უმნიშვნელოვანესი ინსტრუმენტია, რომელიც მოიცავს საბაჟო გადასახადებს, საბაჟო პროცედურებს, საქონლის კოდირებასა და კლასიფიკაციას, ექსპორტ-იმპორტის თანაფარდობის უზრუნველყოფასა და კონტრაბანდასთან ბრძოლის მეთოდებს (Mazur, 2008). საბაჟო პოლიტიკა წარმოადგენს საბაჟო სისტემის ფუნქციონირების განმსაზღვრელი ღონისძიებების ერთობლიობას, რომლის მიზანია საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება, ექსპორტის სტიმულირება, ადგილობრივი ბაზრის დაცვა, სატრანზიტო მიმზიდველობა და მისგან ქვეყნისათვის ეკონომიკური სარგებლის მიღება (Abuselidze & Meladze, 2024). თანამედროვე პირობებში, საბაჟო ასრულებს სამ მთავარ ფუნქციას: ფისკალურს, ეკონომიკურსა და პროტექციონისტულს. საბაჟო პოლიტიკის რეალიზაციის ინსტრუმენტებად კი გამოიყენება სატარიფო და არასატარიფო რეგულირების მექანიზმები.

ნებისმიერი ქვეყნისათვის საბაჟო რეგულირების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს ქვეყნის საგარეო და საშინაო ეკონომიკური პოლიტიკის ამოცანების მაქსიმალური დაბალანსება, რათა ხელი შეეწყოს ექსპორტის სტიმულირებისა და ქვეყნის შიდა ბაზრის დაცვის ღონისძიებების ეფექტიანობას (მელაძე, 2023). საბაჟო-სატარიფო რეგულირება გულისხმობს საბაჟო გადასახადებისა და მისი განაკვეთების სისტემატიზირებულ ერთობლიობას და იგი გამოიყენება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე. საბაჟო-სატარიფო რეგულირების მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას ჩვეულებრივი, სეზონური და განსაკუთრებული საბაჟო გადასახადები. განსაკუთრებული საბაჟო გადასახადი თავის მხრივ მოიცავს სპეციალურ, ანტიდემპინგურ და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადებს (აბელაშვილი, 2011). საბაჟო-სატარიფო პოლიტიკის ფარგლებში შიდა ბაზრის დაცვის უზრუნველყოფად ვაჭრობის რეპრესალიების მარეგულირებელი კანონმდებლობის მიღება აუცილებელია, რათა სახელმწიფომ გამოიყენოს საბაჟო-სატარიფო რეგულირების ისეთი ინსტრუმენტები, როგორებიცაა: სეზონური, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები (მელაძე, 2021).


საბაჟო-სატარიფო რეგულირება უნდა ითვალისწინებდეს საბაჟო გადასახადების წამახალისებელი, მასტიმულირებელი და მარეგულირებელი ფუნქციის გაძლიერებას,

რისთვისაც გამოყენებული უნდა იყოს მიზანმიმართული პროტექციონიზმის ესკალაციის პრინციპი (Novikov & Zemlyanskaya, 2021). საბაჟო-სატარიფო რეგულირება სახელმწიფო რეგულირების უმნიშვნელოვანესი მექანიზმია და იგი გულისხმობს საბაჟო გადასახადების ოპტიმალური ოდენობისა და განაკვეთების განსაზღვრას საქონლის საბაჟო საზღვარზე გადაადგილებისათვის (Korf, 2017). საქართველოს მსგავსი ქვეყნების ეკონომიკისათვის საკმაოდ დიდი მნიშვნელობა აქვს სწორ საბაჟო პოლიტიკას, გამომდინარე იქედან, რომ მას შეუძლია მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ქვეყნის ბიუჯეტის შევსების პროცესში და შესაბამისად ქვეყნის ეკონომიკის მდგრად განვითარებაში (ცინარიძე და სხვ., 2022). საბაჟო-სატარიფო რეგულირების უმთავრესი ამოცანაა საბაჟო გადასახადებმა შეასრულოს უპირატესად არა ფისკალური, არამედ პროტექციონიზმის, ვაჭრობის დაბალანსებისა და ეკონომიკის მარეგულირებლის ფუნქციები.

საბაჟო-სატარიფო რეგულირება მოქმედებს როგორც ეფექტიანი მარეგულირებელი, რომელიც ხელს უწყობს ბაზრის ღიაობას და საგარეო ვაჭრობაში პროტექციონიზმის ინსტრუმენტების დანერგვას. საბაჟო-სატარიფო რეგულირების გაუმჯობესება აუცილებელია არსებული კრიზისების დასაძლევად და სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად (Nenko et al, 2022). საბაჟო-სატარიფო რეგულირების მოდერნიზაცია ხელს უწყობს ქვეყნის ეკონომიკის ეფექტიან ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ კავშირებში და გლობალურ ეკონომიკაში, ამასთანავე, უმჯობესდება ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები (Shraiber, 2017). საბაჟო-სატარიფო რეგულირების პრინციპების თანამედროვე გეოპოლიტიკურ ვითარებასთან, სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან და ფინანსურ მდგომარეობასთან ადაპტირება განაპირობებს მის ეფექტიანობას, რაც ადგილობრივი მწარმოებლების ეკონომიკური უსაფრთხოებითა და უცხოური კონკურენციისაგან დაცვით გამოიხატება.

საქართველოში სამეწარმეო სექტორის განვითარების მკვეთრად დაბალმა დონემ, ბიზნესსექტორში არსებულმა მრავალმხრივმა პრობლემებმა, საქართველოს ეკონომიკის მომსახურების სფეროსა და ტურიზმის სექტორზე დამოკიდებულების მაღალმა ხარისხმა და არასტაბილურმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა პროცესებმა განაპირობა ის, რომ დღეს საქართველო წარმოადგენს იმპორტზე დამოკიდებულ ქვეყანას. აღნიშნული მოსაზრების არგუმენტად გამოდგება ქვემოთ წარმოდგენილი „დიაგრამა 1“, რომელიც ასახავს საქართველოს საგარეო ვაჭრობის სტრუქტურასა და დინამიკას 2009-2023 წლებში.


დიაგრამა 1. საქართველოს საგარეო ვაჭრობა. 2009-2023 წწ. მლნ. აშშ დოლარი.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 1“-ის მონაცემები უჩვენებს, რომ მოცემულ პერიოდში საგარეო ვაჭრობის მოცულობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს, კლება შეინიშნება მხოლოდ 2015, 2016 და 2020 წლებში, შესაბამისად წინა წლებთან მიმართებაში. აღსანიშნავია, რომ მოცემულ პერიოდში ზრდის ტენდენციით ხასიათდება როგორც იმპორტის, ასევე ექსპორტის მოცულობა. წარმოდგენილი დიაგრამა უჩვენებს, რომ იმპორტის მოცულობა ექსპორტის მოცულობას დაახლოებით სამჯერ აღემატება. იმის გათვალისწინებით, რომ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღნიშნული მონაცემებით არსებული ექსპორტის მოცულობა მოიცავს რეექსპორტსაც, რაც ექსპორტის თითქმის 25%-ის ტოლია (შემოსავლების სამსახური, 2024), რეალური თანაფარდობა წმინდა ექსპორტსა და იმპორტს შორის უფრო დიდია. ექსპორტსა და იმპორტს შორის თანაფარდობა საგარეო ვაჭრობის სალდოში გამოიხატება, რაც ბუნებრივია, რომ მოცემული პერიოდის ყოველი წლისათვის უარყოფითია. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდოს ცვლილება 2009-2023 წლებისათვის წარმოდგენილია „დიაგრამა 2“-ზე.


დიაგრამა 2. საქართველოს საგარეო ვაჭრობის სალდოს დინამიკა. 2009-2023 წწ. მლნ. აშშ. დოლარი.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 2“-ზე ჩანს, რომ საგარეო ვაჭრობის სალდოს უარყოფითობა უმეტეს შემთხვევაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება. წარმოდგენილი 14 საანგარიშო პერიოდიდან 9 შემთხვევაში უარყოფითობა იზრდება, ხოლო 5 შემთხვევაში - მცირდება. საგარეო სავაჭრო ბალანსი განსაკუთრებით უარესდება 2020 წლის შემდეგ, მთლიანობაში კი 2009 წლიდან 2023 წლამდე საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითობა გაზრდილია 283%-ით, საიდანაც 2022% ბოლო 3 წელიწადზე მოდის (2020-2023 წწ.). საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ გამოთვლილია საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის მაჩვენებელი შეფარდებითი სიდიდეები პროცენტებში, 2009-2023 წლებისათვის, რომელთა დინამიკა ნაჩვენებია „დიაგრამა 3“-ზე.


დიაგრამა 3. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის დინამიკა, პროცენტებში. 2009-2023 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 3“-ზე წარმოდგენილი წრფივი გრაფიკები უჩვენებს საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის ცვლილებას წლების მიხედვით. დინამიკის ამსახველი გრაფიკული გამოსახულებები ერთმანეთის სიმეტრულია, რაც საკლებით ბუნებრივია, რადგანაც ერთი მათგანის კლება მეორეს მატებას ნიშნავს და პირიქით. აღსანიშნავია, რომ მოცემული პერიოდისათვის საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის სტრუქტურაში იმპორტის ხვედრითი წილი წლების მიხედვით უმეტეს შემთხვევაში მცირდება (შესაბამისად იზრდება ექსპორტის ხვედრითი წილი), საბოლოოდ, 2023 წელს 2009 წელთან შედარებით იმპორტის წილი 80%-იდან 72%-მდე შემცირებული, ხოლო ექსპორტის წილი 20%-იდან 28 პროცენტამდე გაზრდილი. აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით გამოთვლილი საშუალო მაჩვენებელი კი შემდეგ სურათს გამოხატავს: 2009-2023 წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის 74.4% იმპორტს შეადგენს, ხოლო 25.6% - ექსპორტს. აღნიშნული სტრუქტურული ურთიერთდამოკიდებულება ქვემოთ წარმოდგენილია „დიაგრამა 4“-ის სახით.

დიაგრამა 4. საქართველოს საგარეო ვაჭრობაში ექსპორტისა და იმპორტის ხვედრითი წილის საშუალო მაჩვენებელი 2009-2023 წლების მიხედვით, %-ებში.




წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 4“-ზე წარმოდგენილი საგარეო ვაჭრობის სტრუქტურა და ექსპორტ-იმპორტის ხვედრითი წილები მართალია ერთის მხრივ ქვეყნის სამეწარმეო და ბიზნეს სექტორის განვითარების დაბალ დონეზე მეტყველებს, თუმცა მეორეს მხრივ ეს გარემოება ავლენს ქვეყნისთვის მნიშვნელოვან ფისკალურ ეფექტს. ამ შემთხვევაში ვგულისხმობთ საქონლის იმპორტისას გადახდილი საბაჟო გადასახდელების საშუალებით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილის შევსებას.

საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულია, რომ საქართველოში საქონლის იმპორტირებისას გადაიხდევენ შემდეგი სახის გადასახდელები: იმპორტის გადასახადი, დამატებული ღირებულების გადასახადი და აქციზი (საქართველოს საგადასახადო კოდექსი, 2019). იმპორტის გადასახადის განაკვეთები საქართველოში დიფერენცირებულია და საქონლის გარკვეული სახეობებისთვის წარმოადგენს საქონლის საბაჟო ღირებულების 5%-ს, არსებობს საქონლის სახეობები, რომელთათვისაც იმპორტის გადასახადის განაკვეთი 12%-ის ტოლია, არსებობს იმპორტის გადასახადით დაბეგვრის სპეციალური წესები (ალკოჰოლურ სასმელებისა და მსუბუქი ავტომობილების იმპორტისას), ასევე ასრსებობს საქონლის სახეობები, რომელთა იმპორტირება არ იბეგრება იმპორტის გადასახადით. დამატებული ღირებულების გადასახადის განაკვეთი წარმოადგენს საქონლის საბაჟო ღირებულების 18%-ს, ხოლო აქციზის გადასახადის განაკვეთები ცალკეული აქციზური საქონლისათვის დიფერენცირებულია, ხასიათდება გადასახადის დარიცხვით სპეციალური წესებით, რაც დაკავშირებულია აქციზური საქონლის ფიზიკურ მახასიათებლებთან, შემადგენლობასთან, რაოდენობასთან, მოცულობასთან და სხვა პირობებთან და გარემოებებთან.

იმპორტის გადასახდელებიდან (იმპორტის გადასახადი, დღგ, აქციზი) ბიუჯეტში შესული თანხების სტრუქტურა და დინამიკა 2009-2023 წლებისათვის ქვემოთ ნაჩვენებია „დიაგრამა 5“-ზე.


დიაგრამა 5. იმპორტის გადასახდელებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების სტრუქტურა და დინამიკა. 2009-2023 წწ. მლნ ლარი.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 5“-ზე წარმოდგენილია 2009-2023 წლების იმპორტის გადასახადებიდან ბიუჯეტში შესული თანხების სტრუქტურა და ამავე პერიოდში თითოეული გადასახადის თანხის დინამიკა. თითოეული სახის გადასახადის მეშვეობით ბიუჯეტში შესული თანხის მოცულობა თითქმის ყოველწლიურად ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რაც ამავე პერიოდში განხორციელებული იმპორტის მოცულობის ზრდის გათვალისწინებით აბსოლუტურად ნორმალური და გასაგებია. საყურადღებოა ამ სამი გადასახადის სტრუქტურული ცვლილებები მოცემულ პერიოდში, რაც იმპორტის გადასახდელების (მეტწილად აქციზის გადასახადის) განაკვეთებისა და გადასახადის დარიცხვის სისტემის ცვალებადობით შეიძლება იყოს გამოწვეული, რაც აგრეთვე ბუნებრივია. საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ გამოთვლილია იმპორტის გადასახდელებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების საშუალო სტრუქტურული მაჩვენებლები 2009-2023 წლებისათვის, რაც წარმოდგენილია „დიაგრამა 6“-ზე.

დიაგრამა 6. იმპორტის გადასახდელებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების სტრუქტურა, 2009-2023 წლების მონაცემების საშუალოს მიხედვით



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 6“ უჩვენებს, რომ იმპორტის გადასახდელებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში შესული თანხების აბსოლუტური უმეტესობა - 67 % დამატებული ღირებულების გადასახადზე მოდის, აქციზის გადასახადიდან აკუმულირებული თანხა 30%-ის ტოლია, ხოლო

იმპორტის გადასახადის თანხა სახელმწიფო ბიუჯეტში მთლიანი იმპორტის გადასახდელების მხოლოდ 3%-ს შეადგენს.

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში იმპორტის გადასახდელებს მნიშვნელოვანი წილი უჭირავთ. ქვემოთ წარმოდგენილია „ცხრილი 1“, სადაც საბიუჯეტო შემოსავლებიდან გამოყოფილია იმპორტის გადასახადი, აქციზი და დღგ და ნაჩვენებია მათი აბსოლუტური მაჩვენებლები 2009-2023 წლებისათვის.


ცხრილი 1. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში დღგ-ს, აქციზისა და იმპორტის გადასახადის მოცულობები, 2009-2023 წწ. მლრდ. ლარი

	დღგ			აქციზი			იმპორტ.გად.	საბ.შემ.სულ
	ადგილობრ.	იმპორტის	სულ	ადგილობრ.	იმპორტის	სულ		
2009	0.57	1.48	2.05	0.11	0.33	0.44	0.04	5.02
2010	0.70	1.50	2.20	0.15	0.41	0.56	0.07	5.56
2011	1.13	0.89	2.02	0.16	0.46	0.62	0.09	6.78
2012	2.29	0.75	3.04	0.19	0.47	0.66	0.09	8.28
2013	2.26	0.59	2.85	0.19	0.53	0.72	0.09	8.68
2014	2.13	1.16	3.29	0.19	0.62	0.81	0.09	9.76
2015	1.87	1.64	3.51	0.20	0.67	0.87	0.07	12.77
2016	0.92	2.36	3.28	0.18	0.89	1.07	0.07	13.42
2017	1.23	2.89	4.12	0.20	1.25	1.45	0.07	14.92
2018	1.08	3.35	4.43	0.18	1.29	1.47	0.07	16.22
2019	1.52	3.72	5.24	0.14	1.37	1.51	0.08	17.36
2020	1.47	3.37	4.84	0.16	1.46	1.62	0.07	21.80
2021	1.70	4.33	6.03	0.15	1.72	1.87	0.09	24.45
2022	2.28	5.18	7.45	0.18	1.83	2.01	0.13	26.19
2023	3.14	5.24	8.38	0.19	2.08	2.27	0.15	29.64

წყარო: შედგენილია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„ცხრილ 1“-ზე დამატებული ღირებულების გადასახადისა და აქციზის გადასახადის თანხები დაყოფილია ადგილობრივი ბრუნვის დროს გადახდილ და საქონლის იმპორტირებისას გადახდილ თანხებად. აღნიშნული დაყოფის საფუძველზე ჩვენს მიერ გამოთვლილია ამ ორ გადასახადში ადგილობრივი და იმპორტის ხვედრითი წილების პროცენტული მაჩვენებლები თითოეული მოცემული წლისთვის, რის საფუძველზეც აგებულია „დიაგრამა 7“ და „დიაგრამა 8“. „დიაგრამა 7“ უჩვენებს დღგ-ს სტრუქტურას, ხოლო „დიაგრამა 8“-ზე ნაჩვენებია აქციზის სტრუქტურა.


დიაგრამა 7. ბიუჯეტის შემოსულობებში დღგ-დან მიღებული თანხები, 2009-2023 წწ.



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 7“-ზე ჩანს, რომ დღგ-ს სტრუქტურა მოცემულ პერიოდში მკაფიოდ არაერთგვაროვანია. 2009 და 2010 წელს ბიუჯეტის შემოსავლებში ჭარბობს იმპორტის დღგ-დან მიღებული საბიუჯეტო შემოსავლები, შემდგომ პერიოდში აღნიშნული ტენდენცია იცვლება და 2011-2015 წლებში უმეტეს წილს ადგილობრივი დღგ-დან მიღებული თანხები იჭერს, ხოლო 2016 წლიდან 2023 წლის ჩათვლით პერიოდში იმპორტიდან მიღებული დღგ-ს თანხები ისევ სჭარბობს ადგილობრივ დღგს თანხებს და მისი პროცენტული მაჩვენებელი დაახლოებით 70 %-ის ტოლია. თუ შევადარებთ მოცემული პერიოდის საწყის და საბოლოო მაჩვენებლებს, განსხვავება მცირეა - ადგილობრივი დღგ-ს წილის მაჩვენებელი 27.80% იზრდება 37.50%-მდე, შესაბამისად იმდენივეთი მცირდება იმპორტის დღგ-ს წილის მაჩვენებელი. თითოეული წლის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ გამოთვლილია აღნიშნული პერიოდის საშუალო (საერთო) სტრუქტურული მაჩვენებელი, რის მიხედვითაც 2009-2023 წლებში დღგ-დან მიღებული შემოსავლების 58.5% იმპორტისას გადახდილ დღგ-ზე მოდის, ხოლო 41.5% - ადგილობრივ დღგ-ზე. აღსანიშნავია, რომ არა 2011-2015 წლებში დღგ-ს თანხების სტრუქტურაში საერთო ტენდენციისაგან მკვეთრი განსხვავებები, აღნიშნული სტრუქტურული თანაფარდობა განსხვავებული იქნებოდა იმპორტისას გადახდილი დღგ-ს წილის სასარგებლოდ.

დიაგრამა 8. ბიუჯეტის შემოსულობებში აქციზის გადასახადიდან მიღებული თანხები, 2009-2023 წწ.




წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 8“-ზე გამოსახულ აქციზის გადასახადის თანხის სტრუქტურაში გარკვეული თვალსაზრისით იკვეთება ერთიანი ტენდენცია, კერძოდ, საწყის პერიოდში არსებული ადგილობრივი აქციზის პროცენტული წილის მაჩვენებელი თითქმის ყოველწლიურად მცირდება (გამონაკლისია მხოლოდ რამდენიმე წელი, რაც მთლიან სურათს არსებითად ვერ ცვლის) და საბოლოოდ 25.00%-იდან 8.40%-მდე ჩამოდის. აღნიშნული გამოწვეულია ერთი მხრივ, საერთო საგარეო ვაჭრობაში იმპორტის წილის ყოველწლიური ზრდით, ხოლო მეორე მხრივ, აქციზის განაკვეთების თანდათანობითი მატებით. თითოეული წლის მონაცემებზე დაყრდნობით ჩვენს მიერ გამოთვლილია აღნიშნული პერიოდის საშუალო (საერთო) სტრუქტურული მაჩვენებელი, რის მიხედვითაც 2009-2023 წლებში აქციზის გადასახადიდან მიღებული შემოსავლების 82.3% იმპორტისას გადახდილ აქციზზე მოდის, ხოლო 17.7% - ადგილობრივ აქციზზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ფორმირების თვალსაზრისით, იმპორტის გადასახდელებიდან ყველაზე ცოტა - 3%-ს შეადგენს იმპორტის გადასახადიდან მიღებული შემოსავლები. 2009-2023 წლებისათვის იმპორტის გადასახადის თანხის დინამიკა ნაჩვენებია „დიაგრამა 9“-ზე.

დიაგრამა 9. ბიუჯეტის შემოსულობებში იმპორტის გადასახადიდან მიღებული თანხები, 2009-2023 წწ. მლრდ. ლარი




წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 9“-ზე დაკვირვებით ნათელია, რომ 2023 წელს საწყის 2009 წელთან შედარებით იმპორტის გადასახადის თანხა 40 მლნ ლარიდან 150 მლნ ლარამდეა გაზრდილი, რაც ფარდობითი მაჩვენებლით დაახლოებით 375%-ის ტოლია. თითოეული წლის მონაცემებზე დაკვირვება კი ცხადყოფს, რომ მოცემულ პერიოდში იკვეთება როგორც ზრდის, ასევე კლების ტენდენციებიც, რაც იმპორტის გადასახადით დაბეგვრის ობიექტის (საქონლის სახეობები, რომელთა იმპორტირება ექვემდებარება იმპორტის გადასახადით დაბეგვრას) ხშირი ცვლილებებით შეიძლება იყოს გამოწვეული.

„ცხრილი 1“-ის მონაცემების საფუძველზე გამოთვლილია საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში იმპორტის გადასახდელებიდან შესული თანხების პროცენტული წილი, რისი შედეგებიც ნაჩვენებია „დიაგრამა 10“-ზე.

დიაგრამა 10. საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში იმპორტის გადასახდელების წილის 2009-2023 წლების საშუალო მაჩვენებელი



წყარო: აგებულია ავტორის მიერ, საქართველოს სახელმწიფო ხაზინის მონაცემებზე დაყრდნობით. (2024).

„დიაგრამა 10“-ზე ნაჩვენები იმპორტის გადასახდელების 25%-იანი საშუალო ხვედრითი წილი ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში მიახლოებულია თითოეული წლის ანალოგიურ მაჩვენებლებთან, საშუალოსგან გადახრები ბოლო წლებში უმნიშვნელოა და იგი მხოლოდ 2-3 პროცენტის ფარგლებში მერყეობს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო თანამედროვე ეტაპზე განვითარებად ქვეყანას წარმოადგენს საბიუჯეტო შემოსავლებში იმპორტის გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლების 25%-იანი წილი საკმაოდ მაღალია. გასაგებია, რომ საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში იმპორტის წილის მზარდი მოცულობა საბიუჯეტო შემოსავლების მნიშვნელოვანი წყაროა, ანუ მას ფისკალური ეფექტი გააჩნია, თუმცა, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ საბაჟო გადასახდელები და ზოგადად საბაჟო-სატარიფო რეგულირება უპირატესად რეგულირების, სტიმულირებისა და პროტექციონიზმის ეფექტებზე ორიენტირებული უნდა იყოს, რაც თავის მხრივ გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოფს საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასა და შესაბამისად ფისკალურ ეფექტსაც. ამავდროულად, აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლებში იმპორტის გადასახდელებიდან მიღებული შემოსავლების ხვედრითი წილის შემცირებას, რასაკვირველია საგარეო სავაჭრო ბრუნვაში იმპორტის წილის შემცირების ხარჯზე.

თანამედროვე პირობებში საქართველოს საგარეო-სავაჭრო ბალანსის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად აუცილებლად მიგვაჩნია საერთაშორისო პრაქტიკით გავრცელებული და მეცნიერული თვალსაზრისით დასაბუთებული საბაჟო გადასახადების შემოღება, რის საშუალებასაც იძლევა საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმები და ორმხვრივი თუ მრავალმხვრივი ხელშეკრულებების პირობები. შესაბამისად, საქართველოში საბაჟო-სატარიფო რეგულირების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით აუცილებლად მიგვაჩნია შემოღებული იქნეს შემდეგი სახის საბაჟო გადასახადები:

1. სეზონური საბაჟო გადასახადები (უპირატესად სოფლის მეურნეობის პროდუქციაზე);
2. სპეციალური საბაჟო გადასახადები (უპირატესად ნედლეულის იმპორტზე);
3. ანტიდემპინგური საბაჟო გადასახადები (დემპინგის არსებობის შემთხვევაში);
4. საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები (სუბსიდირების დადასტურების შემთხვევაში).

დასკვნა

კვლევამ აჩვენა, რომ ბოლო წლებში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვის მთლიან მოცულობაში იმპორტის რაოდენობა ექსპორტის რაოდენობას საგრძნობლად აღემატება. საყურადღებოა, რომ იმპორტის მოცულობას ზრდის ტენდენცია ახასიათებს და იზრდება მისი როგორც აბსოლუტური მაჩვენებლები წლების მიხედვით, ასევე ფარდობითი მაჩვენებელი და საგარეო ვაჭრობის სალდოს უარყოფითობა. ბოლო პერიოდის მონაცემების საშუალო მაჩვენებლების მიხედვით მთლიანი საგარეო ვაჭრობის 26%-ს ექსპორტი წარმოადგენს, ხოლო 74%-ს იმპორტი. აღნიშნული არის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ სახელმწიფო და ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობების მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს

იმპორტის გადასახდელებიდან (დღგ, აქციზი, იმპორტის გადასახადი) მიღებული შემოსავლები, რომელთაც როგორც აბსოლუტური, ასევე ფარდობითი მაჩვენებლების მიხედვით ზრდის ტენდენცია ახასიათებთ. საბოლოოდ, 2009-2023 წლებში ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის 25%-ს იმპორტის გადასახდელებიდან მიღებული სახსრები წარმოადგენს, რისი 67%-იც დღგ-ზე მოდის, 30% აქციზის გადასახადზე, ხოლო 3% იმპორტის გადასახადზე.

კვლევის შედეგები იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ საქართველოს მთავრობის მიერ არჩეული საბაჟო პოლიტიკის ლიბერალური კურსი მხოლოდ მოკლევადიანი პერიოდისთვისაა ეფექტიანი, რადგანაც იგი გათვლილია მხოლოდ ფისკალურ ეფექტზე და არ ითვალისწინებს გრძელვადიან პერსპექტივაში საგარეო ვაჭრობის სტრუქტურაში ექსპორტ-იმპორტის დაბალანსებისთვის საჭირო მიმართულებებს. ამის საპირისპიროდ საბაჟო-სატარიფო რეგულირების ინსტრუმენტებს შესწევთ უნარი შეასრულებდნენ არა უპირატესად ფისკალური, არამედ მარეგულირებლისა და მასტიმულირებლის როლი და ადგილობრივი ბაზრის დაცვისა და ადგილობრივი მწარმოებლების დაცვის ფუნქცია (პროტექციონიზმი). სახელმწიფო რეგულირების საბაჟო-სატარიფო მექანიზმის ზემოთ აღნიშნული მიმართულება უმნიშვნელოვანეს ამოცანად საზღვარგარეთის ქვეყნებისათვის უკვე რამდენიმე ათეული წელია იქცა. ამ მიზნის მიღწევისათვის აუცილებელია სახელმწიფო ძალისხმევა, რათა საბაჟო-სატარიფო რეგულირების ფარგლებში აქტიურად იქნეს გამოყენებული სეზონური, სპეციალური, ანტიდემპინგური და საკომპენსაციო საბაჟო გადასახადები, რაც ჩვენი შეხედულებით საგრძნობლად აამაღლებს საბაჟო-სატარიფო რეგულირების პროტექციონიზმის ხარისხს.

საბაჟო-სატარიფო რეგულირების პროტექციონისტული, მასტიმულირებელი და მარეგულირებელი ხასიათის გაძლიერება წარმოადგენს გრძელვადიან გარანტს იმისა, რომ ადგილობრივი წარმოებისა და ბიზნეს სექტორის განვითარების ხარჯზე საგარეო ვაჭრობის მიმართულებით დღეს არსებული ბალანსი ექსპორტსა და იმპორტს შორის მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება. ბიზნესის განვითარება, ექსპორტის მოცულობის ზრდა და შესაბამისად იმპორტის შემცირება აუცილებლად უზრუნველყოფს თითოეული დონის ბიუჯეტებისა და შესაბამისად, ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობებში იმპორტის გადასახდელების წილის შემცირებას, მოგებისა და საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავლების წილის ზრდის ხარჯზე, რაც ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელი და გრძელვადიანი განვითარების სტაბილური საფუძველია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბელაშვილი, ნ. (2011). *პროდუქციის ხარისხის აუდიტი და ექსპერტიზა საბაჟო სისტემაში*. თბილისი: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა;
2. მელაძე, ა. (2021). *საქართველოს საბაჟო პოლიტიკის სრულყოფის ზოგიერთი ასპექტი*. ეკონომიკური პროფილი, (22(2), 51-62;

3. მელაძე, ა. (2023). საქართველოს საბაჟო კანონმდებლობის ევროკავშირთან ჰარმონიზაციის გამოწვევები და პერსპექტივები. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“, 10(3), 152-169;
4. საქართველოს საბაჟო კოდექსი. (2019). თბილისი;
5. საქართველოს საგადასახადო კოდექსი. (2019). თბილისი;
6. ტერაშვილი, ნ. (2007). საქართველოს საგადასახადო-საბაჟო პოლიტიკა. თბილისი;
7. ცინარიძე, რ., ცეცხლაძე, ლ., კახიძე, ს. (2022). იმპორტის გადასახადების ფისკალური ეფექტი და იმპორტის რეგულირება. საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინოვაციური ეკონომიკა და მართვა“. №3. Vol 9. გვ. 91-113;
8. Abuselidze, G. & Meladze, A. (2024). *Innovative Customs System and its Impact on the Sustainability of the Transit Potential*. European Journal of Sustainable Development, 13(1), 229-248;
9. Fedoova, G. (2018). *Electronic Commerce: Customs Regulation Problems*. 1st International Conference “Development of Foreign trade in Modern World: Innovations and Challenges”. Saint-Petersburg: The Theses of Reports;
10. Korf, D. V. (2017). *Commodity Nomenclature and Classification of Goods for Customs Purposes in Eurasian Economic Union*. Pravo. Zhurnal Vysshey shkoly ekonomiki, №2, 188–198;
11. Mazur, A. (2008). *The Concept of Customs Affairs: Idea, Content, Legislative Fixing*. Customs Business, №5;
12. Nenko, S., Fedotov, O., Shchedrova, H. (2022). *Economic and Legal Bases of Administration of the Customs-tariff Mechanism*. Baltic Journal of Economic Studies. Vol.8, №1;
13. Novikov, M., Zemlyankaya, S. (2021). *The System of Customs and Tariff Regulation of the EAEU in the Context of Globalization: Problems, Trends and Prospects of Development*. The 20th International Scientific Conference Globalization and its Socio-Economic Consequences 2020;
14. Shraiber, C. (2017). *Customs Tariff Regulation as an Instrument of Economic Security of the Russian Federation*. Customs Scientific Journal. Vol.5, №2;
15. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2024). საქართველოს საგარეო ვაჭრობა, 2009-2023 წწ. <https://www.geostat.ge/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba> მოძიებულია 02.11.2024;
16. სსიპ შემოსავლების სამსახური. (2024). ანგარიშები და კვლევები. <https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1> მოძიებულია 07.11.2024;
17. საქართველოს სახელმწიფო ხაზინა. (2024). საქართველოს ნაერთი ბიუჯეტის შემოსულობები, 2009-2023 წწ. <https://treasury.ge/ka/revenues> მოძიებულია 04.11.2024.

REFERENCES:

1. Abelashvili, N. (2011). *Product Quality Audit and Expertise in the Customs System*. Tbilisi: Publishing House of Technical University of Georgia;
2. Meladze, A. (2021). *Some Aspects of Improving the Customs Policy of Georgia*. International Scientific Journal: "Economic Profile". (22(2), 51-62;
3. Meladze, A. (2023). *Challenges and prospects of harmonization of Georgian customs legislation with the European Union*. International Scientific Journal: "Innovative Economics and Management". 10(3). p.152-169;
4. Customs Code of Georgia. (2019). Tbilisi;
5. Tax Code of Georgia. (2019). Tbilisi;
6. Terashvili, N. (2007). *Tax and Customs Policy of Georgia*. Tbilisi;
7. Tsinaridze, R., Tsetskhladze, L., Kakhidze, S. (2022). *Fiscal Effects of Import Duties and Import Regulation*. International Scientific Journal: "Innovative Economics and Management". №3. Vol 9. p. 91-113;
8. Abuselidze, G. & Meladze, A. (2024). *Innovative Customs System and its Impact on the Sustainability of the Transit Potential*. European Journal of Sustainable Development, 13(1), 229-248;
9. Fedoova, G. (2018). *Electronic Commerce: Customs Regulation Problems*. 1st International Conference "Development of Foreign trade in Modern World: Innovations and Challenges". Saint-Petersburg: The Theses of Reports;
10. Korf, D. V. (2017). *Commodity Nomenclature and Classification of Goods for Customs Purposes in Eurasian Economic Union*. Pravo. Zhurnal Vysshey shkoly ekonomiki, №2, 188–198;
11. Mazur, A. (2008). *The Concept of Customs Affairs: Idea, Content, Legislative Fixing*. Customs Business, №5;
12. Nenko, S., Fedotov, O., Shchedrova, H. (2022). *Economic and Legal Bases of Administration of the Customs-tariff Mechanism*. Baltic Journal of Economic Studies. Vol.8, №1;
13. Novikov, M., Zemlyankaya, S. (2021). *The System of Customs and Tariff Regulation of the EAEU in the Context of Globalization: Problems, Trends and Prospects of Development*. The 20th International Scientific Conference Globalization and its Socio-Economic Consequences 2020;
14. Shraiber, C. (2017). *Customs Tariff Regulation as an Instrument of Economic Security of the Russian Federation*. Customs Scientific Journal. Vol.5, №2;
15. National Statistical Service of Georgia. (2024). *Foreign Trade of Georgia. 2009-2023*. <https://www.geostat.ge/ka/single-categories/99/sakartvelos-sagareo-vachroba> Searched 02.11.2024;
16. Revenue Service. (2024). *Reports and Studies*. <https://www.rs.ge/AboutUs?cat=5&tab=1> Searched 07.11.2024;
17. State Treasury of Georgia. (2024). *Revenues of the Unified Budget of Georgia. 2009-2023*. <https://treasury.ge/ka/revenues> Searched 04.11.2024.